ღანი

„ღანი“ - ღია კონკურსი ახალგაზრდა ხელოვანებისთვის

ქანდაკება

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ

▪ სტუდენტებსა და ახალგაზრდა მოქანდაკეებს
▪ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად
▪ თითოეულ მონაწილეს /ან მონაწილეთა ჯგუფს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი ნამუშევარი

თემატიკა

მონაწილემ უნდა წარადგინოს ქანდაკების ესკიზი , რომელიც შექმნილია ასომთავრული ანბანის ასონიშანი ***„ღანი“-ს*** **(Ღ)** გამოსახულების საფუძველზე ან თემასთან დაკავშირებული ალეგორიული სიმბოლოების გამოყენებით.

მთავარი თემებია:

▪ სიყვარული
▪ სულიერი აღმასვლა
▪ ადამიანის შინაგანი გარდაქმნა, განღმრთობა

საკონკურსო მასალები

▪ ქანდაკების ესკიზი 3–5 ფოტო სხვადასხვა რაკურსით (მინ. 300 dpi)
▪ ნამუშევრის კონცეფციის ტექსტი (მაქს. 1 გვერდი)
▪ შევსებული განაცხადის ფორმა – დანართი 1
▪ ციფრული ქანდაკების შემთხვევაში — ტექნიკური მხარდაჭერის აღწერა (თუ საჭიროა

📌 **შენიშვნა:**

- კონკურსანტის ინტერესებიდან გამომდინარე ნამუშევრებზე არ უნდა იყოს მითითებული ავტორის სახელი, ლოგო ან კონტაქტები. ფოტოზე არ უნდა გამოჩნდეს ავტორის სახელი ან ბრენდირება.
- საკონკურსო ნამუშევარი არ უნდა გასაჯაროვდეს კონკურსის დასრულებამდე (25 ოქტომბერი), მათ შორის სოციალურ მედიაში, ვებსაიტზე ან სხვა არხებით; წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილე შეიძლება მოიხსნას კონკურსიდან.

საგამოფენო მასალები

ფიზიკური ქანდაკების ესკიზი:

▪ მაქს. ზომა: 80 x 80 x 80 სმ
▪ დასაშვები მასალები: მყარი ან ნახევრადმყარი
▪ ტექნიკურად გამართული საექსპოზიციოდ

ციფრული ქანდაკება:

▪ **ფორმატები**: 3D მოდელი, ვირტუალური ინსტალაცია

▪ **წარდგენის ფორმა:**
— ვიდეო-პრეზენტაცია: .mp4, არაუმეტეს 30 წამი
— ფოტოები: .png ან .jpeg, არაუმეტეს 4K (3840x2160)

📌 **შენიშვნა:**

მონაწილე ადასტურებს, რომ წარდგენილ ნამუშევარზე ავტორობა ეკუთვნის მას. ორგანიზატორს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, შეამოწმოს ნამუშევრის ავტორობა.

➢ დამატებითი კითხვებისთვის დაუკავშირდით ასოციაციას:

✉ ელფოსტა: ghani@tasa.ge
☎ ტელეფონი: (+995) 555 44 22 01

Tbilisi Architechts and Sculptors Association
თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია